

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

ქ. ბათუმი

„-----“ 2026 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი მიწის ნაკვეთების (პლაჟის მონაკვეთების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 36-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სარგებლობის უფლებით, აუქციონის წესით განსაკარგი ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთების (პლაჟის მონაკვეთების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასური თანახმად დანართისა.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტის სარგებლობაში განკარგვის შესახებ და განკარგულების შესრულების მიზნით უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ივანე მაისურაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით განსაკარგი მიწის ნაკვეთების (პლაჟის მონაკვეთების) საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამი წარმოდგენილია განცხადებები პლაჟის მონაკვეთების სხვადასხვა ლოკაციებზე მიწის ნაკვეთების სარგებლობაში გადაცემის თაობაზე. შესაბამისად უნდა განსაზღვროს მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გადაცემის საწყისი სარგებლობის საფასური.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 36-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, ხოლო თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, ქონების მმართველის მიერ, ამ წესის 34-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) მიერ დადგენილი საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2026 წლის 27 მაისის №003615926 დასკვნის თანახმად, ქ. ბათუმში, გონიო-კვარიათის დასახლებაში არსებული 68775.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.36.26.873) საბაზრო ღირებულება ჯამში შეადგენს 58 674 260.00 კვ.მ (ორმოცდათვრამეტი მილიონ ექვსას სამოცდათოთხმეტი ათას ორას სამოცი) ლარს, 1 კვ.მ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 853,13 ლარს, ხოლო 5% - 42,65 ლარი.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2026 წლის 27 მაისის №003616126 დასკვნის თანახმად, ქ. ბათუმში, დასახლება გონიოში არსებული 82495.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.36.24.1028) საბაზრო ღირებულება ჯამში შეადგენს 66 187 390.00 კვ.მ (სამოცდაექვსი მილიონ ას ოთხმოცდაშვიდი ათას სამას ოთხმოცდაათი) ლარს, 1 კვ.მ მიწის საბაზრო ღირებულება შეადგენს 802,32 ლარს, ხოლო 5% - 40,11 ლარი.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2026 წლის 27 მაისის №003616226 დასკვნის თანახმად, ქ. ბათუმში, დასახლება გონიოში არსებული 31739.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №05.36.24.1030) საბაზრო

№05.34.25.099 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის 1 კვ.მ.-ს საწყისი წლიური სარგებლობის საფასური განისაზღვროს 55,0 ლარით.

ა.ბ) პროექტის არსი:

ქ. ბათუმში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთების საწყისი წლიური სარგებლობის საფასურის განისაზღვრა, აღნიშნულ ტერიტორიაზე კონკრეტული მიწის ნაკვეთების (პლაჟების მონაკვეთების) სარგებლობაში გადაცემისათვის გამოსაყენებლად.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე მითითებული ქონებების სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეტანილი ქონების სარგებლობის საფასურის სახით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი შესაბამისია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების
მართვის სამსახურის უფროსი

დავით კობინაძე